თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3827935

ნომერი: AR1575720

თარიღი : 07.02.2018

გაცემის თარიღი : 20.02.2018

გაცნობის თარიღი : 20.02.2018

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი ალ. ყაზბეგი , N 24გ ; ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თამაზ ელიზბარაშვილი პ/ნ 01008001849
- სვანიძის ქუჩა # 30

ნომენკლატურა :

- საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა
- შეტყობინება არქიტექტურულ ობიექტზე

გადაწყვეტილება

სამსახურმა განიხილა თქვენი #AR1575720 ელექტრონული განაცხადი, რომლითაც ეწინააღმდეგებით ქ.თბილისში, #01.10.16.001.019 საკადასტრო ერთეულზე შლაგბაუმის მოწყობასთან დაკავშირებით ნებართვის გაცემას და ითხოვთ ადმინისტრაციულ წარმოებაში დაინტერესებულ მხარედ ჩართვას.

პასუხად გაცნობებთ, რომ 2018 წლის 7 თებერვალს #AR1575887 ელექტრონული განცხადებით სამსახურს მომართა მოქალაქე გიორგი ბუზალაძემ და მოითხოვა ქალაქ თბილისში, ალ.ყაზბეგი, #24გ, #01.10.16.001.019 საკადასტრო ერთეულზე, შპს ელ თი დი-ს საკუთრებაში არსებულ ფართობში შლაგბაუმის დამონტაჟების ნებათვა, წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად სამსახურის #3816386 გადაწყვეტილებით სამსახურმა უარი უთხრა განმცხადებელს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.

ამასთან გაცნობებთ, რომ ამ ეტაპზე ქალაქ თბილისში, #01.10.16.001.019 საკადასტრო ერთეულზე შლაგბაუმის მოწყობასთან დაკავშირებით სამსახურში ადმინისტრაციული წარმოება არ მიმდინარეობს.

თქვენი შეტყობინება სამსახურში მიღებულია ცნობის სახით, ობიექტზე ადმინისტრაციული წარმოების დაწყებისა და საჭიროების შემთხვევაში იქნებით ინფორმირებული.

დამატებით გაცნობებთ, აღნიშნული ობიექტის სამშენებლო განვითარებასთან დაკავშირებით თვალყურის დევნება შეგიძლიათ სამსახურის ვებ-გვერდის (www.tas.ge) მეშვეობით, ინტერაქტიულ რუკაზე საპროექტო ფენის ჩართვის და ძიებაში დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდის მითითების შემთხვევაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7

ტელ. [+995 32] 272 22 22
ფაქს. [+995 32] 237 82 24
Info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge